

სამშობლო-დედის ძუძუი, არ გაიცივლები სხვაზედა, ორივე ტკბილია, ძმობილო, მირჩვენის ორსვე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქალაქის თეატრი.

ქართულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ, შაბათს, 14 თებერვალს, 1915 წ. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა კ. მესხის.

თამარ ხატონიშვილი

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

გზადღება წარმოსადგენად: ნინო ჩხეიძის საგასტროლოდ „მ დ მ ა“ ბილეთები იყიდება თეატრის კასოში.

ელექტრო-თეატრი რაღიში.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა დასტირის დიდებულ მამულიშვილს აკაცის მის ცხედრის გამოსვენებას დაესწრო მთელი საქართველო.

ეს დიდებული სანახაობა ჩვენ გადავიღეთ, რომ შთამომავლობამ იცოდეს, რა პატივით მოეყრა აკაცის მისი თანამედროვე ქართველი საზოგადოება. მოგზაობად და იხილეთ ეს დიდებული სურათი.

- 1) აკაცის სანახაობა და გინა, საგუაგო მთაწმი. უფო, პარ-მიდაგო
- 2) აკაცის გამოსვენება საჩხერისა.
- 3) როგორ ეგებება ქართველობა აკაცის ნეშტს რეინის გზის სადგურებზე საჩხერისა—მოგზაობა.

სენსები დაიწყო 9 თებერვლიდან. თ. 51.

თ-დ სვიმონ გიორგის ძე წერეთელი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ომში ტრალიკულათ მოკლულ იქნა შვილი მისი

არჩილი.

პანაშკიდი ყოველდღე, საღამოს 4 საათზე, საჩხერის მაკოვრის ეკლესიაში. გვიამს მოსვენება და დაკრძალვა ცალკე გამოცხადდება. 1-4

უდიდესი სამედიკალიზო წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა და ანხ. ქუთაისის
 აღმუშავებელი ქუჩა, თფალი. კომერც. ბანკის ქვეშ.
 კ. ი. ოცხელისა და ანხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტიკული, პედაგოგიური, იურადიკული, საბავშვო და მრავალი სხვა. აგრეთვე გამოცემულია 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურადიკული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის პარტიკული დაწვევით 6 მანეთიდან ჯიბურ შურამი. გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარო ნივთები.
 — კ ა ტ ა ლ ო გ ა მ ა ი უ შ ა ს ო თ —

ჭიანჭველის ბუნებრივი სპირტი.
 ჭიანჭველის ზეთის მიმტებით, როგორც იშვიათი ძველ დროს ხალხისაგან ნადავლი საშუალება, საარაკოთ არჩენს თვით მვალ-რბილში გამგლად ქარებს.
 თითოეული ფლაკონის ფასი 1 მ. 50 კ., 2 მ. 50 კ. და 3 მან.
 ყოველ ფლაკონს თან ახლავს დარიგება.
 ფოსტის ადრესი: ქ. ქალუგა; ტიპოგრაფიის მამული, დიმიტრი დიმიტრის ძე კარპოვი. 12-10

ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),
 მშრალ მიწაზე გასდელი, იეიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში.

„Критика психологической теории права“
 Проф. Л. П. Петроженкаго. ფასი 6 შურთი.

ქუთაისი გოგონების ფირმის ქუთაისი
 გინაზის ქ., საკუთ. სახლი. გინაზის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა „ნ. უღალოვი & ი. პაპილოვი“-ს

სამანუფაქტურო მაღაზიაში
 მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,
 ა ბ რ ე ზ უ მ ი უ ლ ო ბ ა,
 შ ა ლ ე უ ლ ო ბ ა,
 გ ა უ დ ე უ ლ ო ბ ა
 დ ა ბ ა მ გ ა მ ო ბ ა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კატიუმებისათვის:
 „ხაზარდი—ვიფონი“ „ქრამ—აბრამინი“ და „კოტლე—ნოვალი“ მანუსათვის;
 „ფ ა ი — რ ე ნ ე“ და „ფ ა ი — შ ი კ.“

აგრეთვე იყიდება ჩვენი პროზორის ტრიოგორნი მანუფაქტურის ნაწარმოები.
 ფასები შემოვარდნილია.

ქეიმი გაბრიელ იოს. გოკიძის
 ელექტრონიკა და სინათლის
 კაბინები. შინაგანი ნერვებისა და ვენერული ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. აღმუშავებელი ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ.)

ქეიმი ი. ჩარბაძე ქალაქის საავთმყოფოს ორლინატორი. განახლა კანის, ვენერული და სიფილისის ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევანოვის ქუჩა, ალიბეგის სახლი. (თ.)

ქაბილის მანადარაშვილი და ბრუზაძე
 ნოვა. დროებით ბათიმიდან გადმოვიდნენ ქ. ქუთაისში. თფლისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფიზიკური თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავადმყოფებს ღებულად დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავადმყოფობის კბილებისა და ღრბილების. ავეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრბილების ავადმყოფობას არჩენენ რამდენიმე სენსებ ახალი საშუალებით. (თ.)

ქუთაისი, 14 თებერვალი.

... ჩვენი ბევრია ძალა, რომელმაც დაიცვა საქართველო მრავალ უკიდურეს განსაცდელისაგან და თუ დღეს ჩვენი ეროვნული ცხოვრება განიცდის სერიოზულ კრიზისს, უნდა ფიხობდეთ ვიყენებთ და მოვიხმართ ჩვენი სულიერი ძალა და მოქმედება სწორად მაშინ და იქ, სადაც და როცა ეს საჭიროა.
 „სახ. ფ.“ № 208.

ღიას, ჩვენში ბევრია ეროვნული ძალა, რომელმაც დაიცვა საქართველო ათასგვარ კლამით აუწერელ და ენით გამოუთქმელ უბედურებისაგან; ჩვენში დიდა მადლი, დათვლილი ძველთაგან, რომელი მადლიც დღევანდლამდე ინახავს საქართველოს და მის ერს; ჩვენში დიდი შემოქმედებითი ენერჯია და მარბული და ყველა ამას გამოყენება, აღფრთოვანება, გამოღვიძება უნდა!..
 ცარელი სიტყვები არა კმარა. სიტყვა საქმით უნდა ვაქციოთ ხოლომე და მერე თვით საქმე მოგვთხოვს ჩვენ განუწყვეტელ ზრუნვასა და მოქმედებას.

მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ როცა სიტყვა საქმეში მიდგება ხოლომე, ჩვენი ძალები იქსატება, წვირლმანდება, ჯგუფურ ხასიათს ღებულობს, იმართება ერთი ვაი-უშველებელი, თავპირის მტერევა, პოლემიკა და ხელში მხოლოდ გვიჩენს... ერთმანეთის ბურდლი.

გაიხსენეთ მოძრაობის ხანა, მოიგონეთ რეაქციის დრო, გაითვალისწინეთ ქ. შ. ვ. კ. გამაგრელებელ საზოგად. მთავარ გამგობის წლიური კრებები, თვარის მოღვაწეთა ყრილობა, სხვა წვირლმანი ჩვენი კულტურული დაწესებულებები და მათ გამო ჩვენი ურთიერთობა; დაუვიწყრად ქართულ რედაქციებს და მათ თანაშრომელთა ერთმანეთში დამოკიდებულებას და თქვენებურათ უნდა დაგვეხსენებოდეთ, რომ ის დიდი ძალა, რომელიც ქართველობაში ტრიალოვს, ის ენერჯია და აღფრთოვანება, რომელიც მოგვანიჭა ჩვენი „ქართველებს“, — ქართველებს, — ჩვენმა ტურფმა „ცა-ფირუზ-ზურმუხტ ქვეყანამ“, ის პოეტური აღაფრენა და უნაგარო თავგანწირვა, რომელიც ძირითადი თვისება ქართველი კაცის ხასიათისა, — რომელ ჯგუფისაც უნდა იყოს იგი, — ყველა ის მადლი ბუნებისა, რომელიც ჩვენმა გვამს მოკვლელი ღვთისა, განგებისა თუ ისტორიისაგან, — რაც გენებოთ ის უწოდებთ ქართველი კაცისა და საქართველოს მადლიანობის დასაბამს, — ყველა ჩვენი სიკეთე მეტი წვირლმანდება და ისევე სხვების, — ჩვენზე უფრო ნაკლებ მადლიანისა და ნაკლებ კულტურულ ხალხების ხელით საქართველო ეხდებოდა. ჩვენი შინაური საქმეები კი აწეწილ-დაწეწილია და თავი ვერ გამოგვამს, რიგინათ ვერ ჩამოვიყალიბებთ, მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი ვერ მოვიცით. ჩვენ თითქმის გვრცხვენია ჩვენი თავისა, ჩვენი ქართველობისა.

ბულებას და თქვენ ძალაუვნებურათ უნდა დაგვეხსენებოდეთ, რომ ის დიდი ძალა, რომელიც ქართველობაში ტრიალოვს, ის ენერჯია და აღფრთოვანება, რომელიც მოგვანიჭა ჩვენ, — ქართველებს, — ჩვენმა ტურფმა „ცა-ფირუზ-ზურმუხტ ქვეყანამ“, ის პოეტური აღაფრენა და უნაგარო თავგანწირვა, რომელიც ძირითადი თვისება ქართველი კაცის ხასიათისა, — რომელ ჯგუფისაც უნდა იყოს იგი, — ყველა ის მადლი ბუნებისა, რომელიც ჩვენმა გვამს მოკვლელი ღვთისა, განგებისა თუ ისტორიისაგან, — რაც გენებოთ ის უწოდებთ ქართველი კაცისა და საქართველოს მადლიანობის დასაბამს, — ყველა ჩვენი სიკეთე მეტი წვირლმანდება და ისევე სხვების, — ჩვენზე უფრო ნაკლებ მადლიანისა და ნაკლებ კულტურულ ხალხების ხელით საქართველო ეხდებოდა. ჩვენი შინაური საქმეები კი აწეწილ-დაწეწილია და თავი ვერ გამოგვამს, რიგინათ ვერ ჩამოვიყალიბებთ, მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი ვერ მოვიცით. ჩვენ თითქმის გვრცხვენია ჩვენი თავისა, ჩვენი ქართველობისა.

ყველან და ყოველთვის ვცდილობთ არავის ვაწყენით, არავინ გავაჯავროთ, ყველას კარბივით ზედ წავგლისოთ. ასე ვიტყვით გათვ. შინ კი ერთმანეთს ვკაბთ და ჩვენ ჯგუფობრივ წარმოდგენას თუ მიმართულებას ვანაცვალვით ჩვენს მშასაც და ჩვენს მოვალეობასაც ქვეყნისა და ერის წინაშე.

რწმენა, რასაკვირველია, სინილისის საქმეა, მაგრამ რადგანაც სინილისი მოკვლეულია აღმართა შორის, ეს ორი ჯურის ქართველის ურთიერთობაც დამყარებული უნდა იყოს ნამუსზე, სინილისზე, მაგრამ, აბა, ნახეთ როგორ ათახსირებდნენ და მტრობდნენ ერთმანეთს...
 რათა, რისთვის? რისთვის ივიწყებენ დიდებულ მოძღვრებას დიდ ბულის მოძღვრებას:

ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სარჩობელია.
 იმიტომ, რომ ქართველი კაცი დიდი ხანია მოსწყდა მშობლიურ ნიადაგს, მშობლიურ აღზრდას, თავის ქვეყნის წარსულის ცოდნას... მთელი თაობანი გადაგვარების გზაზე შეაყენეს. ჩვენმა ყოველ დღიურმა ცხოვრებამ „ხარცი იხსნა, სული მოკლა“! მაგრამ, აი, გამოჩნდნენ ყვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილები ნ. ბარათაშვილი, დ. ქონძაძე, ლ. არდაზიანი, ორბელიანები, კრისთაფი, ყიფიანები, ქვეკავშირები, წერეთლები, ნიკოლოძენი, ნინო შვილიძე, ცაზეგები, ვაჟა-ფშაველენი... ფუტკრებივით შეგებდნენ, შეგროვდნენ, შეკრეს ერთ თავიგულათ მადლი ძველ და ახალ საქართველოსა. და მის ქრინახულობისაგან დათესილი და დაწეწი-

ნეს ქართველობა, რომ სულიც ერისა „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, და დრო მოვა გაღვიძებო“ და...
 აი მოვიდა ის დროც! მოგვეცა დღე-ღუფტკარი, წაიქცა მეორე ბურჯი ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობისა, გარდაიცვალა აკაკი!

ახლა კი ყველამ ვიგრძენით სილიადე დანაკლისისა, სიძლიერე და სიწმინდე მისგან დათესილის მადლისა!
 ქართველი ერი, მისი სხვადასხვა გზით მიმდინარე შტოები შეერთდა და მოიძებნა, ასე ვსთქვით, ერთი წერტილი, ერთი სკა, ერთი ბუკი, რომლისგანაც უნდა გამოვდიოდეთ და რომელსაც უნდა თავს დავტრიალებდეთ.

და, ჩვენი ქვეყნის ფუტკრები დაერივნენ, მიეტანნენ სხვადასხვა ყვაილებს, სხვადასხვა გზით გაფრინდნენ სათაფლო მასალის მოსაგროვებლათ. თაფლი იგი კი უნდა მოიტანონ ერთ სკაში — საქართველოში.

ამიერიდან საქართველო და მისი ერის გაძლიერება, გამოფხიზლება შეიქმნება საყოველთაო საზრუნავი.
 მართალია, საერთო მგლოვიარობის დროს ზოგიერთებს დაავიწყდათ, თუ მერის მწუხარებისაგან აღარ გახსენებიათ ამაგი მეორე დღე-ღუფტკრის — ილიასი, მაგრამ პატივისცემა აკაკისა, პატივისცემა ილიასიც, ვინაიდან დედა აზრი მათის მოქმედებისა, ძლიერება და სიწმინდე მათის ნამოძღვრისა ერთი და იგივეა!..
 ჩვენ გავაღვიძებთ არა აკაკის პიროვნებაში, არამედ გავაღვიძებთ მისმა მოძღვრებამ...
 ასეა თუ ისე, მთელმა საქართველომ ფიცი დასდო აკაკის კუბოს წინაშე — ემსახუროს მის მოძღვრებას და კიდევ უნდა განახორციელოს იგი!..
 პირველ ყოვლისა, როგორც უკვე გუშინ მოგახსენეთ, ჩვენ უნდა მივეწველოთ ჩვენ ძმებს აჭარლებს.
 როგორ და რა გზით?..
 ყოველი ღონის ხმარებით, ყოველივე საშუალების გამოყენებით! კმარა, ბატონო, დაუფერობა და მხოლოდ ღამა-ღამაზე დასაძინებელი მიგზებდით ჩვენ მეზობელ სოზებს, ამათგან მაინც იგილოთ მაგალითი.
 აი, რას სწერს სომხების გაზეთი „კავკასილი“ № 38, თერთმეტი თებერვლის თარიღით:
 „ბევრს ვსწერდით გამოსახულებას აისორების, სომხებისა და მუსულმანების შესახებ, მაგრამ არას კიდევ სხვის, რომელმაც განიცადა მთელი სამხედრო ომისა — ესენი არან ამირ კავკასიის დასავლეთ ნაწილის მკვიდრნი. ასეა მწვაობა ამაზე დასარკი, თუ როგორ და რა პირობებში იქონია გაულებს ომი აჭარლებს და რუსეთის ოსმალურებს, როგორ შეხედენ ესენი ომს



სხვა დღეებში სხვა სახელმწიფოებრივი სახელმწიფო პასუხისმგებელი, თუმცა კი კოლონიალური გამაფრთხილებელი იყო. გერმანიის მთავრობა ამბობს, რომ ერთმანეთს შორის არსებულ კეთილგანწყობილების მიხედვით გერმანიის ფლოტი იტალიის ნეიტრალურ ბაირადს ფრთხილად მოეკიდება.

სტოკჰოლმი. 11 თებერვალი. ბერლინიდან იტალიის მთავრობის მიერ გამოქვეყნდა განცხადება: ამერიკის მთავრობამ გერმანიის ნოტატი პასუხი წარადგინა, რომელიც კეთილი სურვილებია გამოთქმული, რასაც გერმანიის მთავრობა, იმედოვნებს, უწყურადღებოთ არ დასტოვებს. სერსათ-სანოვაგის სიმცირის ნიადაგზე გერმანიის უკმაყოფილება გამოვარდნილია. რაოდენიმე თმთა საზოგადოებამ გადაწყვიტა მცხოვრებლებს დაურიგოს პური და ფული კი დააძლვონ.

კომუნისტები. 11 თებერვალი. მოწვეულმა კონფერენციამ ჩრდილო ზღვის საერთაშორისო გასარჩევან კრება მოკლე ხანით შეიქმნა, რათა დღევანდელ შედეგებზე მიხედვით თავის მთავრობებისადმი შეკითხვისა, ფინანსის მინისტრმა ფოლკსტინმა სამი კანონპროექტი წარადგინა, რომლის მიზანია მთავრობის შემოსავალი გააძლიეროს. ამანიათ ომისგან გამოწვეული დიდი ხარჯი დაფაროს. კანონპროექტში ნათქვამია, უძრავ ქონებაზე გადასახადი გაიზარდოს და აგრეთვე შემოდებულ იქნას გადაიდებული გადასახადი იმ პირებზე, რომელთა შემოსავალიც დღევანდელი ომის წყალობით გაორჯობებულია, მინისტრი დაუკონტაბილი მოიხსენებს ამ კანონპროექტის განხორციელებას, რადგანაც ომი ერთ წლამდე კიდევ გასტანს და დანის ფინანსური მხარდაც შეარყვეს, ამანიათ საჭიროა შემოსავლის ახალი წყაროების გამოძიება.

პარიზი. 11 თებერვალი. დილით, 10 საათზე, საფრანგეთის სამხედრო გემმა გერმანიის წყალ ქვეშა ნავს ბულონთან სროლა აუტეხა. ნავმა ჩაიყურყურა და იმ ადგილას, სადაც გაქრა, ზეთის ღვეთები იყო შემწვებული.

პეტროგრადი. სამხედრო სამინისტრომ ომის დაწყებისას, გადასწვიტა დროებით უარი ეთქვა საზღვარგარეთ რუსეთის იმ ქვეყნებში მცხოვრებების ჯარში გაწვევაზე, რომლებიც ვალდებული იყვნენ შოთხილიზაციის დროს გამოცხადებულიყვნენ თავთავის ნაწილში. ახლა გადასწყდა სამინისტროში, რომ წინანდელი შედეგით ამ პირებისადმი გაუქმდეს და უნდა გამოცხადდენ ყველა ხსენებული პირები, როგორც ნამდვილ სამსახურში, აგრეთვე ისინიც, რომლებიც ითვლებიან სათადარიგო ჯარისკაცებათ. შედეგით ეძლევათ იმ რუს ქვეყნებში, რომლებიც იბრძვიან მოკავშირე სახელმწიფოს ჯარებში.

კიევი. ომის დაწყებამდე კიევიზე გაუტარებიათ გერმანიელი და ავსტრიელი ტყვეები, კარგით მყოფნი: 2532 აფიკერი და 182,495 ჯარისკაცი. ავთანყოფი და დაჭრილები: 814 აფიკერი და 60,245 ჯარისკაცი.

ლონდონი. 11 თებერვალი. ჩაიძირა აფეთქების შემდეგ გემი „როპერანა“, რომელიც კუნძულ ელკადან დიუბორტ-ნიუსკენ მიდიოდა. კამანდიდან ყველა გადაარჩა სამ ჩინელს გარდა, რომლებიც დაიღუპნენ აფეთქების დროს.

სოციალისტების საქმი.

პეტროგრადი. 12 თებერვალი. მთელ რუსეთში სხდომაზე პალატაში ლაბარაკობდენ დამკველები, რომლებიც ამტიციტდენ, რომ ამ საქმეში არ ყოფილა არავითარი ფარული საზოგადოება, არც არავითარი კონფერენცია, არამედ იყო მხოლოდ კერძო თათბირი სახელმწიფო სათათბიროს წევრებისა, გარეშე პირებთან სხვადასხვა საკითხზე, დამკველები მიექცივდენ სასამართლოს ურალდებებს იმ დეკლარაციას, რომელიც სათათბიროში წაკითხულ იყო 26 ივლისს, თავისი შეხედულება სოციალდემოკრატებმა გამოთქვეს „სოციალდემოკრატის“ 33 ნომერში, სადაც ამტიციტდენ, რომ არ არის საჭირო წინანდლდებობა გაუწიოთ ჩვენს მთავრობას გერმანიელთან ბრძოლაში, რამეც ორგანიზაციების მოწყობა ჯარში, ან კერძოთ ამ მიზნისთვის, ყოვლად შეუძლებელია და სხ.

უკანასკნელ სიტყვაზე დამნაშავეებმა უარი განაცხადეს.

სხდომა 13 თებერვლისთვის გადაიდვა. **კომუნისტები.** აღდგენილ იქნა დანის ნავისგან ჩრდილოეთ ზღვაში.

ლონდონი. სკოტიუროდან იუწყებიან, რომ ჩაიძირა გემი „დოტორი“, რომელიც ჩრდილოეთ ზღვაში.

გორკ ფიქრობენ, გვირ ჩასძირა წყალქვეშა ნავში. ერთი მატროსის სიტყვით, კამანდა გადაარჩა.

ლონდონი. 11 თებერ. გვლიხნდესთან, გუშინ შეამჩნიეს მტრის შვიდი პეროპლანი, რომლებიც მიფინავდენ ჩრდილო დასავლეთით.

ბუქარესტი. 10 თებერვალი. მოვიდა გენერალი პო. მცხოვრებლები აღფრთოვანებით შეხვდენ. სადგურზე გენერალს შეხვდენ საფრანკეთისა, ინგლისისა, სერბიისა, ბელგიისა და რუსეთის ელჩები, რამოდენიმე რწმუნებული, ყოფილი მინისტრები, პოლიტიკური მოღვიწენი, პატრიოტული კავშირის წარმომადგენელი, ტრანსილვანიიდან გამოქვეყნებული, სხვადასხვა დარგის საზოგადოებები და მრავალი ხალხი. ქუჩაზე გენერალის ავტომობილი ნულა მიდიოდა, ირგვლივ სტუდენტობა ეხვევოდა, აივნებიდან ქალები ყვავილებს ესროდენ. ბუქარესტი ჯერ ასეთი მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია არ უნახავს. პარასკევს ბუქარესტიდან გენერალი გამოვა და შაბათს უნგრეთში შევიდის, სადაც რუსეთის საელჩოს ინახულებს. 11 თებერვლის გენერალი საუდუნციოთ მეფემა და მეფის მეუღლემ მიიღეს, შემდეგ ინახულა მინისტრები და გარეშე საქმეთა პრეზიდენტი.

საფოში. 11 თებერვალი. კორპორაციის კონსტანტინეპოლიდან ატყობინებენ, რომ ფინანსის მინისტრი დასავლეთში, 10 თებერვალს, ბერლინს წავიდა ფინანსიურ საკითხების შესახებ გერმანიის ფინანსის საქმეების წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლათ. მის თან ახლდა ოსმალეთის ბულანის წარმომადგენელი დეტრუბლიკი ჯახიდ-ბეი, რომელიც ვენაში დარჩება კონსტანტინეპოლიდან იტყობინებთან, რომ ერთობის პარტიის კომიტეტმა დაადგინა, პალატას სხდომა 18 თებერვლამდე ექნება, შემდეგ სხდომა გადაიდება 30 ეკენისთვის.

საფოში. 11 თებერვალი. დილით, 10 საათზე, საფრანგეთის სამხედრო გემმა გერმანიის წყალ ქვეშა ნავს ბულონთან სროლა აუტეხა. ნავმა ჩაიყურყურა და იმ ადგილას, სადაც გაქრა, ზეთის ღვეთები იყო შემწვებული.

სურსათ-გაზაფხილად.

„რ. უ.“ იტყობინება: კვირას კონანა გერმანიელები პეროპლიდან ისრებს ისროდენ.

ვარშავიდან იტყობინებთან—ვილკლემი ქუტროში მოვიდაო.

გერმანიის პეროპლიანმა ესეკში სამ ქალაქს ხუთი ყუშპარა ესროლა. ზარალი უზნიშვნელია.

შვეციის გაზეთის ცნობით, ლამანშზე, ვითომ, გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ინგლისის ტრანსპორტი, ორი ათასი ჯარისკაცია, ჩაძირეს. ბერლინის პრესამ ამის გამო ფურცლები გამოსცა. გერმანიის გაზეთები იმუქრებიან, ეს მხოლოდ დასაწყისიაო.

ჩრდილო ზღვის თავზე მფრინავი ცეპელინები, ინგლისის ნაპირებთან სალყო ნავებთან ერთად, დახვეწასაც ასრულებენ. პოლანდიის ორთქლმავალი, ცეპელინიმა გაიფრდა და ჰკითხა, რომელ ერთგუნებას ეკუთვნის, რით არის დატვირთული და ინგლისის გემებს ხომ არ შეხვედრია. ცეპელინი, როგორც მხვერავი, ისე მოქმედობდა.

ოგლინი „რ. ვ.“-ში სწერს: „გერმანიელებმა პირველ ხანში თავისი ახალი ძალით მიზანს მაღწიეს, მაგრამ შემდეგ კი წარმატება აღარ ჰქონიათ. ამ ყაბათ გერმანიელები საშუალებას მოკლებული არიან მნიშვნელოვანი რამ მოახდინონ“.

მიხაილოვსკი „რ. ს.“-ში სწერს: გერმანიელებმა ნენანსა და ვისლას შუა მილიონანდის ჯარის კაცს მოუყარეს თავი. გერმანიელები ცდილობენ ჩვენი უმთავრესი ძალები დაამარცხონ. საქმე არც ვისლის ხაზშია და არც ვარშავში. საქმე ჩვენ ჯართან საპედისწერო ბრძოლაშია. მიხაილოვსკი ფიქრობს, რომ მეათე არმიის ჩვენი კოპრუსის მარცხმა ცუდათ არ უნდა იმოქმედოს იმ მედგარი ბრძოლის დავიკრებებზე, რომელიც ახლა დაიწვიება.

ახლო მომავალში, ავსტრიის საზღვრებთან, ვილკლემი და ფრანკ-იოსები ერთმანეთს ინახულდენ.

ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ორთქლმავლების კამანდა დახვეწით უზრუნველ ჰყოს უბედურ შემთხვევისგან, რომელიც შედეგათ მოყვება გერმანიელების დატყმას.

ადრიატიკის ზღვაზე ავსტრიისა და მოკავშირეთა ფლოტებს შორის ბრძოლა დაიწყო.

რომის რადიკალური პარტია იტალიის ომში ჩარევას მოითხოვს.

ავსტრიის წყალქვეშა ნავებს ებრძანათ, ადრიატიკის ზღვაზე ნეიტრალური ორთქლმავლები ჩასძირონ.

ბელგიაში დიდი მღელვარებაა. დედაგანიდან რკინის გზის მოსამსახურე ფრანგები გამოსდვენ.

შოაფლიო პარტიარტი ყველა შოაშარ სახელმწიფოებებს შოუწოდებს, სისხლის ღვრა შეწყვიტონ.

გერმანიის პეროპლიანებმა საგრადო ესეკის ქალაქებს ინგლისში ყუშპარები ესროდეს.

ახალი ამბავი.

ხვალინდელ ჩვენს გაზეთს ექნება სურათებიანი და მატება, რომელშიც დამტყულები იქნება აკაკის დიდი სურათი, ლექსები: „აკაკის ხსოვნას“, გორგისა, „მთაწმინდაზე“, წიგნისა, „სამშობლო“—ხარატიშვილისა და დასაწყისი ბ. ჯორჯიკის ახალი მოთხრობისა: „შეს მად აბრეკი“.

◆ გაზეთ „შრომის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ყოველდღიური გაზეთის ნაცვლათ, რომლის გამოცემაც სხვადასხვა მიზეზების გამო შეჩერდა, გამოვა სარედაქციო გაზეთი და ხელისმომწერლებსაც დაურავდებათ.

◆ ვარლამ ლევანასძე გელოვანი. გუშინ ცნობა მივიღეთ, რომ ამ დღებში სარაყამიდან თფილის ჩამოყვანათ დებუტურ ვარლამ გელოვანი. დებუტური ტრუთი გამხდარა ავით.

◆ გუშინ, ქალაქის თვითმართვლობის დარბაზში სასკოლო კომისიის კრება იყო მოწვეული.

◆ ამ ოთხი წლის წინათ ქალაქის გამგეობამ და სალორის აგარაკის მცხოვრებლებმა მეფის მოადგილის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს. ჯოა გზათა სამინისტროში ეშუამდგომლა, ტყუილის რკინის გზის ლიანდაგზე გადასასვლელი გზის გაკეთების შესახებ, რითაც სალორის მცხოვრებლებს საშვალბა მიცემოდათ ქალაქში მიმოსვლისათვის გზათა სამინისტროს ამის შესახებ 22—23 იანვარს დაუდგენია: გაკეთდეს ტყუილის რკინის გზის ლიანდაგზე ორი გადასასვლელი, ერთი ჩარეკოვის კირის ქარხნის გასწვრივ, სადაც ამ ყაბათ ხის დაბალი ხიდი არის და მეორე უსახელო ქუჩიდან, სადაც ამ ყაბათ რკინის გზა მიწაში ჩაწეულია. გადასასვლელი კავკასიის რკინის გზის სამართვლოს ხარჯით უნდა გაკეთდეს.

◆ რედაქციამ მიიღო წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის სტუდენტის ნიკ. სპ. ჯორჯიკის წიგნი: „Критика психологической теории права“. წიგნი კარგად არის გამოცემული, შეიცავს 46 გვერდს და ღირს 6 შუტრად.

◆ 12 თებერვალს ქალაქის თეატრში მსახიობთა აშანავობამ წარმოდგინა აკაკის ხუთ მოქმედებიან დრამა „პატარა კახი“. რეკენზიას ხვალის ნუმერი მოვათავსებთ.

◆ ქალაქის გამგეობამ როსტოვის ფქვილის საწვობებიდან შემდეგი დეგეში მიიღო: როსტოვი ამ ყაბათ პურის ფქვილი შემდეგ ფასებში გადის: მეორე ნუმერი—9 მ და 10 შ., მესამე—9 მ და 5 შ., მეექვსე—8 მ და 14 შ. და მეშვიდე—7 მ და 10 შ. მოსალოდნელია ამ დღებში ფასმა აიწიოს.

◆ ქალაქის საბჭოს კრება დანიშნულია 23 თებერვალს.

◆ ქუთ. ქალაქის ბიბლიოტეკის გამგე მადლობას სწირავს ბატ. გ. ჯორჯიკის.

კის მისი თხზულების ორი ცალის შემოწირვისათვის.

◆ რედაქციამ მიიღო სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალ „განათლება“ იანვრის პირველი ნუმერი. ჟურნალი ჩვეულებრივთაა გამოცემული.

◆ ქუთაისში ეს ნახევარი წელიწადია ვილაც აღექსანდრე შახბარათოვი სცემს სულიერათ გამარყენელ ლექსებს და მდინოა ხალხში ავრცელებს. ამ ბოლო დროს ასეთ უგვანო ლექსებში მას აკაკის ლექსები ჩაურთია და ამრიგათ მთელ წიგნაკებს აკაკის ლექსებათ ასაღებს. კარგი იქნება, რომ საზოგადოებამ სასტიკი პარტესტი გამოუცხადოს და დაჭმოს ბ. შახბარათოვის საქციელი.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ ნაკალდის ნუმერი. მოზრდილობათვის № 1 და მცირეწლოვანთათვის № 2. ჟურნალები ჩვეულებრივთა არის გამოცემული. პირველში ჩართულია აკაკის სურათები.

◆ 15 თებერვალს, სომხების სკოლის დარბაზში გაიმართება საქველმოქმედო საღამო გამოქვეყნულთა დასახმარებლათ. წარმოდგენილი იქნება ქართულ-სომხური ბიესები.

◆ გამოქვეყნულთათვის შეწირულობას აგროვებს ექიმი კ. ა. აშინაძე.

◆ ხვალ, ელექტრო-თეატრ რადიოში გაიმართება ლექციების კითხვა.

1) „სესრეთაშორისა დაგა“ წიკითხავს გრ. გიორგაძე; 2) „სიკვდილით დასჯა მცნიერების სამჯავაროს წინაშე“ წიკითხავს ა. სანელიძე.

◆ 12 თებერვალს, ქალაქის თვითმართვლობის დარბაზში შესდგა სანოვაგის მამწყობი კომისიის კრება. კრებამ დაადგინა პურის ნიხრს არ მოუმატონ, ვიდრე დამატებითი ცნობები არ შეიკრიბება. როსტოვიდან, სტავროპოლიდან და ევატერინოღარიდან მიღებული ცნობები პურის ფქვილის შესახებ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამიტომ ქალაქის გამგეობამ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ცნობების მისაღებათ დებუშები კვლავ დაგზავნა.

მ თ ა ბ რ ი.

დღეს, ქალაქის თეატრში ქარ. მსახიობთა აშანავობის მიერ წარმოდგენილი იქნება დაკლებულ ფასებში, ისტორიული პიესა „თამარ ბატონიშვილი“, რომელი დანაწილებულია საუკეთესო მსახიობთა შორის. პიესას დასდგამს რეჟისორი ანდრონიკაშვილი.

◆ აშანავობაში შედის ახალგაზდა მსახიობი იუზა ზარდალიშვილი და პ. შოთაძე.

ჩამოვიდა და რეტორიკებში შეუდგა ჩვენი ნიჭიერი და დამსახურებული მსახიობი ქალი, ნინო ჩხეიძის ასული, რომლის სავსატროლოდ მზადდება ცნობილი ტრადელია „მედეა“.

თეატრის ადმინისტრაცია დაბეჯითებით ითხოვს, რომ დამსწრე საზოგადოებამ დაიპიროს ბილეთში აღნიშნული ადგილი, რადგანაც ეს ხშირად უთანხმოებას იწვევს.

ახალგაზდა დრმატურგმა ს. ქანტუარიშვილმა, გადაცა რეჟისორს კ. ანდრონიკაშვილს თავისი ახალი დრამა „ბურუსი“.

აქიმ სარგო ქლანის ხსოვნას.

ჩვენი მწუხარება და სევდა უფრო გააღრმავა 26 იანვარს მოსულმა თავზარდამცემმა დემუმამ: „ექიმი სერგო მიხეილის ძე ქლენტი, დაჭრილი შრანელის ტყვიით, გაღოცვალაო.“ უწყალო სიკვდილმა მის ჯერ კიდევ ქანტუკურ ღმილით მოქარგულ ბაგებზე დატყრა სიკოცლის იერი... უპირობედმა მშვენიერ გარსობებით ატოკებულ გულს და მძალდ არებთა და მისწრაფებებით სავსე გონებას დუმოლის შავი ლეჩაქი გადაფარა... სამუდამოთ დაღუშდა ხალხის საყვილდღოთ აღწეული მშვენიერი გული... ვინ იცის ჯერ კიდევ ენერგიით, ძალონიითა და სიკოცლით აღსავსე ახალგაზდას გრის-

თვის და წელს გატეხილ მძიმედ ხალხისთვის რამდენი ნაყოფი და სარგებლობა შევქმნო მოცინა?..

განისვენე ტალოთ სვიტაში აგრძელდეს, შენი მშვენიერი სახე მათთვის წაუშლელ და მარადის გახსოვნილი რათ დარჩება შენი მეგობრების სხოვნაში... **სიმონ ხუნდაძე.**

სასურალდემო განჯარსა.

ამას წინათ თბილისში მომხდებოდა ყოფნა და ჩემი ყურადღება მიიპყრა ერთმა შენობამ, რომელიც თუმცა ჯერ არ მოთავებულა და მისი დთვლიერება უხერხულიცაა, მაგრამ თავისი იშვიათი ელფერი და დამახასიათებელი განსხვავებით იმდენათ იქცევა გამგელის ყურადღებას, რომ გვერდის ახვევა შეუძლებელია. ეს შენობა კეთდება მელოქოვის ქუჩაზე, სწორეთ იქ, სადაც უფრო იყო ქალაქის ფოსტა. შენობას აკეთებს თავად-ახნაურობა და ფიქრობს შილ საადგილ-მამულა ბანკი მოთავსოს. შენობის გეგმა შეუქმნავეთა განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიც ორი ქართველი ინჟინერი ყოფილა. შენობას აგებენ ისე, რომ სავსებთ დაცულია ძველი ქართული ხუროთ-მოძღვრების რიგი (სტილ).

კარებისა და ფანჯრების თაღები, ბოძები, ყოველგვარი წარწება, ჩუქურთმები და მონატურლება ზღუდებისა—ამდვილი განმეორება ძველი ქართული ხელოვნებისა, როცა მიუახლოვდებით და დაუკვირდებით შენობას, თქვენ თვალის წინ იბართება გაყოლებული ერთიანი ბოძები იმგვარი, რომლის ნაწილებიც ბაგატის ტძარის ნანგრევებში განახავს გაწეულა. იგივე ითქმის ყველა ჩუქურთმებისა და წნულების შესახებ.

სწორეთ კარგი აზრი მოსვლია თავად-ახნაურობას და აღმშენებელ კომიტეტს, რომ ახალი შენობის აგება ამ გეგმებზე განუხრახავს. ეს შენობა იქნება ძან ლამაზი და თანაც სრული აღდგენა ჩვენი მივიწყებული ხუროთ-მოძღვრების სახისი. ძველი ხუროთ-მოძღვრების აღდგენის მიზანი ქნდა იქვე, თბილისში, ქვეშევთის ეკლესიის აღმშენებელ კომიტეტსაც, მაგრამ იქ ეს განხრახვა სავსებით ვერ ასრულებულა, რადგან სინამდვილე ყველგან დაცული არ არის. როგორც ვფიქრობ ხელმძღვანელს, ტომით იტალიელს, ზოგიერთ ჩუქურთმებშიც და წნულებში სინამდვილეზე გადაუხვ ვია, აღმათ უფიქარი ამით სილამაზე და შწო მიეცა ახალი ნაყეთისთვის და ხელოვნებას ამით უფრო თვალი დასდგომდა, მაგრამ ამქედარა ოსტატი. სწორეთ იქ, სადაც ძველი ორიგინალი შეცვლილია, სილამაზე იკარგება, ჩვეულებრივი შწო და ლამაზი ქრება და ნაცვლათ ახალი არ ისახება. მიუხედავად ამისა ქვეშევთის ეკლესია მაინც ძვირფასი ნიმუშია ქართული ხუროთ-მოძღვრებისა. როგორც ვცნობდეს, შარშანდელი უცხოელი მეცნიერის ყურადღება, თბილისის დთვლიერების დროს, სავსებით მიუპყრა ქვეშევთის ტძარს. გულდასმით დაუთვლიერებიათ ეს ტძარი, როგორც განსხვავებული ხუროთ მოძღვრების ნიმუში.

ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ბანკის ახალი შენობა უფრო მაღლა დგას და სწორეთ იშვიათი რამ იქნება. ეს შენობა იქნება ბევრნაირთა საყურადღებო: უცხოელი აქ ნახავს ადგილოვრივ ნაციონალურ ნაშთს—ქართული ხელოვნების ნიმუშს, ქართველს კი თვალწინ იქნება ახლათ და მთლიანათ ის, რაც ძველ ნანგრევებში გაბნეულია. ამასთანვე შესაძლებელია, რომ ამგვარმა გამოკრებამ გემოვნება გავვიციდოს და შეგვაყვაროს ის, რაც არ გვიყვარს, ვეგბ გავისხნოთ ის, რაც უნებლიეთ დავივიწყეთ და ძველის ახალთან შედარებით ვეგბ დავრწმუნდეთ, რომ ყველაფერი ახალს სახეთით არ არის და მეტი კრიტიკული შეხედულება ვიჭონოთ საგანზე.

სასურველია და თანაც არსებითად საჭირო, რომ აქც იქნეს მიღებული მხედველობაში შემოადნიშნული განხრახვა, მეტადე მამინ, როცა საყურადღებო შენობის აგებას ეშვადება რომელიმე ჩვენი საზოგადო დაწესებულება. კერძო პირებიც ხშირათ არ ზოგავენ საშვალდებს, რომ თავიანთ შენობას შწო და ლამაზი მისცენ, მაგრამ ხშირათ უხაროთ და უიღვოთ გამოწყებული, უგემური შეთთხნილი და აქრელებული გამოდის. თუ რამე სთქვით ამის შესახებ თავის გასამართლებლათ მზათ არიან გიუხრან: „ეს ახალი ფორმა, ეს ორიგინალია არისო“.

თითქოს ყველაფერი ახალი ესტრეტიკის ნაყოფი იყოს და ორიგინალობა ვადმი- ხინჯებაში იხატებოდეს.

ჩვენის ახრით საყურადღებოა ის გარე- მოვება, რომ იმ ახალ საინტერესო შე- ნობაში ყოველ ადგილას, სადაც რაიმე გამოხატულება ან წესიერება ამოსაღები ეკლარს ქვეს ხმარობენ, რადგან მკოდნე პირების შემოწმებით, სხვა ადგილებიდან მიტანილი თეთრი, თლილი ქვა ამ მხრივ უფარგის ყოფილა. სხ.ნს ძველი ქართუ- ლი ხუროთმოძღვრების დასაცავით ერთ- გვარი მასალაც აუცილებელი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში ექვს გარეშე, რომ ეკლარს ბევრნაირი გამოხატულება და სა- ხარგებლო მიმართული ჩვენთვის სჯობს თავდარილი დავიკავოთ, რომ აქ ამოღე- ბული ქვა უთავბოლოთ არ იხარჯებოდეს და იქ არ ეხმარებოდეს, სადაც სხვა ქვა ე გამოდგება. ჩვენი ერთგვარი სენი ისაა, რომ გვიყვარს მისი მოხმარა, რაც ადვი- ლათ ხელწამოსაკრავია და მომავალზე ზრუნვის უნარი ვეკლავა.

რამაღ შეგვეძლება, იმის ვეღარ გავაწორებთ, მაგრამ მომავალში რომ აღარ შევცდეთ—ამს სურვილი კი უნდა გვქონდეს. ეს საშუალო ჯურის მოქალა- ქესაც კი მოეთხოვება დღევანდელი ცხოვ- რების პირობებში.

ტრიფონ ჯავახიძე.

ჩვენი დაკარგული და სავთბოლო ჯარის კახევი.

11 თებერვალს ქალაქში მოიხვეანს:

აკობიშვილი გიორგი, სიღნაღდან. ბებიშვილი რომანოზ, სოფ. მებრები, გო- რის მაზ. ბაზუხაძე ნიკოლა, თელავიდან. ნაბიჭიშვილი სოლომონ, სოფ. ყვარე- ლი თელავის მაზ. დათულიშვილი პეტ- რე, სოფ. საბუნე თელავის მაზ. გამრე- კელოვი ივანე, ქალაქიდან. აკოფოვი პეტროს, თელავიდან. გოდუძე ირაკლი, სოფ. პატრიკეთი ქუთაისის მაზ. დაქ- ილია მარცხენა ხელში. აღებგაშვილი ალექსი, სოფ. კოტეხი სიღნაღს მაზ. სერბილაძე მალაქი, სოფ. ჯვარის უბანი რაჭის მაზ. ხარაიშვილი გიორგი, სოფ. ხოლარა შორაპნის მაზ. ბერთაშვილი ილიკო, ქალაქიდან. კობახიძე ერეკლე, სოფ. ნიკორწმინდა. რაჭის მაზ. არუთი- ნინც აივან, აალექსანდროს.

ბ. ჭანტუია.

მოსკოვში იმართება:

სევერიანე მაქსიმეს ძე გელვანიძე. ს. საზნო, შორაპნ. მ. მარცხენა ხელი მოსტრეს. მალაქელძე ნოე ზოსიმეს ძე, ს. გორა, ქუთ. მ. მარცხენა ხელში მძ- მეთ. მშვილდძე ნოე დარმატის ძე, ს. ოზბა, ქუთ. მაზ. ფეხში მძიმეთ მუხლს ქვევით, კახანაშვილი სტეფ. ივანეს ძე, ს. ბაკურჩანი, მარცხენა ხელში (მძიმეთ). წიკლაური შიო ივანეს ძე, თუშეთ. მ. მაქარიას, მსუბუქათ. სებასტიანოვიან დიმიტრის ძე, ქუთ. მ. საინოველი, მსუბუქათ. ციკიშვილი იოსონ დომენ- ტის ძე, ს. ვეტყვიძლა შორაპნ. მაზ. დასუსტებულნი. წიკლაია ილიარიან კოსტას ძე, ს. ხორგა, ზუგდ. მ. მსუ- ბუქათ. წურჭუმია კიმოთე პეტუს ძე, ს. დინდვი, ზუგდ. მ. მსუბუქათ. კრამელა- შვილი გიორგი სტეფ. ძე, ს. ერქეშა ბორჩალოს მ. მარცხენა ხელში დაქრი- ლი. ჰაქინაძე ბესარიონ ნიკ. ძე, ს. ხი- დარა, შორაპნ. მ. მსუბუქათ. ჩიბირა- შვილი იოსებ გრიგოლის ძე, მანგლისი, თფ. გუბ. მსუბუქათ. ჩინჩარაული გიორ- გი ხევჩილის ძე, ს. ვარკლა დუშ. მაზ. მსუბუქათ. ჩხაიძე მარკოზ გლახუას ძე, ს. აცანა, გურია, მსუბუქათ მარჯვენა ფეხში. ქუყია ანდრის უჩანის ძე, ს. ჯულჯია, ზუგდ. მ. მარცხენა ხელში დაქრილი. კაბუკიანი სოლომონ ანდრის ძე, ცავერიდან, მარჯვენა ფეხში დაქ- რილი. ჰეიშვილი კონდრატ დავითის ძე, ქუთაისიდან, მარცხენა ფეხში დაქრი- ლი. ჩუბინძე ვასილ მიხეილის ძე, ს. შორაპნ. გუბ. მარჯვენა ხელში დაქ- რილი. დუშ-დუშის* ტყვიანი. ჩხუტია თევდორე ივანტის ძე, სოხუმიდან, ხელ- ში დაქრილი. ჩულოშვილი სვიმ. ისაკის ძე, ს. საქობა, სიღნაღ. მ. მძიმეთ. ჩ- დუნელი გიორგი შაქარას ძე, ს. ვაუშ- ლან-თუშაშვილი. გორის მაზ. მსუ- ბუქათ. შიუკაშვილი ნესტორ ჩუჩუნას ძე, დ. ცხინვლიდან, მსუბუქათ. დაბუაშვი- ლი ვას. გრიგ. შუ. გორიდან, გაყარ- ლი. სტუდიოზიშვილი ზაზაია მხეილის ძე, მანგლისი, ფეხში მძიმეთ. მისი- ლის ძე, ხოლო მსუბუქათ. ქუთაისი რაი- ონიდან, მარცხენა ხელში დაქრილი.

ვა. კვიტია ტროფან ჰოპოს ძე, ს. ნო- ბაკევი, სიმურხაუ. მ. დაქრილია ხელში. ფანცულაია ივანე ოქროპირის ძე, ფო- თი, მძიმეთ. ჯოჯუა ნიკ. ივანეს ძე, ს. კურბუ სენაკ. მ. მსუბუქათ. მარგველა- შვილი დავ. მსუბუქ ძე, ს. არაგეთი— ქუთაურიდან, მძიმეთ. ლუაშვილი გოგო- რი დავითის ძე, ბაკურციხე, სიღნ. მ. ფეხში მძიმეთ. ჩულოძე ილია გიორგის ძე, ს. კურდღელაური, თელავ. მ. მსუ- ბუქათ. ჩხალაძე სეფ სტიანე ბესარიონის ძე, ქუთაურა, ნერვები აქვს აშლილი. ბენაშვილი ივანე გიორგის ძე, ს. შირ- ზაანი, სიღნაღ. მ. მსუბუქათ. ჰრელა- შვილი მელიტონ საბას ძე, ს. დიმი, ქუთ. მ. მსუბუქათ.

ზემო ჩამოთვლილ დაქრილების შე- სახებ ცნობების მიღება შეგეძლებათ ამ მისამართით: Москва, Лазаретъ Обще- ства Грузинъ, Поварская. д. Су- ходольскаго ст. Владимиру Рами- швили. სტ ვდ. რამიშვილი.

ჩეკანის კომისიის ყველა იმარ- ვანიანი.

ხინკაძე ამბროსი, გურია სოფ. ძიმი- თი. ქავთარაძე სილიბისტრა, შორაპნის მაზრა ს. სავანე. ივანაძე დიმიტრი, ქუ- თაისის მაზ. ს. იანეთი. მჭყერაშვილი ილი- დორე, შორაპნის მაზ. ჩოჩია ამბერკე, სენაკის მაზ. სოფ. კვათინი. გუბაია იო- სებ, სამურხაყან სოფ. ბელი. მალაქსა- ნიძე სიმონი, რაჭა სოფ. ლიცივი. აბუ- ლაძე გერასიმე, დ. ჩხარი. ჩინჩილაძე ივა- ნე, შორაპნის მაზ. სოფ. ტყემლუა, ჩი- ბურდანიძე გერასიმე. ქუთაისის მაზრა. ცოტაძე ბესარიონი, სოფ. დანრი, გე- ლიძე ვარლამი, სოფ. ბაღდადი. ზობიზაძე პარპენ, სოფ. ბაღდადი. ჩირბაძე ო. ხო- ნი. ძიმიგური მელიტონ, ფერხალი გუ- რა ს. ქალა. ბუქია ნოა. გურია ს. ბუქ- ნარი. გოგოლაძე ფილიპონ, დ. ჩხატა- ური.

დონის როსტოვი იმართება.

კუპრაია პლატონ ივანეს ძე, სენაკის მაზ. ს. ნოჯიხევი, ორივე ფეხის თითები აქვს დამძარილი. ზურაშვილი ალექსანდრე ზაქარაის ძე, სიღ. მაზ. სოფ. ქედელი, ფეხის თითები აქვს ყინვისგან დამძარილი. ბინძელაძე ლუკა ივანეს ძე, ბორჩალოს მაზ. ს. გომარეთი, მარჯვენა ფეხშია დაქ- რილი. მკედელიშვილი ვასილი გეგენას ძე, სიღ. მაზ. ს. ქვემო-მაჩხანაი, მარცხენა ფეხშია დაქრილი, ყველა კარგათ არის, მძიმე ავთ არც ერთი არ არის.

მათი მისამართი: Ростовъ на Дону, Максимовскій лазаретъ. Мало-садо- вая ул. № 101. ქვეთაჲ გლახუნის ძე გაიარგაქს.

დაავთმყოფებელი ჯარისკაცები იმყო- ფებიან ქალ. დერბენტის საავთმყო- ფოებში.

ლექიშვილი ფერემა დავითის ძე, გო- რის მაზ. სოფ. მთვარე, იორდანიშვილი ანტონ სამსონის ძე, გორ. მაზ. ს. მეჯ- რის-ხევი გოგოლიშვილი აქვსნეტო ბრე- ვინის ძე, ოსურგების მაზ. სოფ. დვამბუ- კაცაძე სერგო ლახარეს ძე, სამტრედიის რაიონი სოფ. წაღობანი. ლომჯარია მი- ხელო, გურია.

მეორე სამოქალაქო ლაზარეთში.

ტუქვაძე მიხეილ ანტონის ძე, ქუთაი- სის ს. ცხუკური. ჩანჯღავა ბავლე თედოს ძე, სენაკის მაზ. სოფ. თამაქო. ამათი ვი- ნაობის გავება შეიძლება შემდეგი მის- მართით: Гор. Дербентъ, Д.об. 3-ая больница для раненыхъ воиновъ, фельдшеру I. А. Кванталиани.

დ. ა. კვანტალიანი.

დავით აღმაშენებლის ხმოვნას.

(დასასრული იხ. „სამშობ.“ მე-11 №-ი).

არა ნაკლები უფრო დღეა მოქალაქე დიდმა მე- ფემ მოსახლეობის გამოაჯობებს, ქვეშევდ- რომთა რიცხვის შემატეხება: ზემოაღნიშნუ- ლი სამხედრო-პოლიტიკურთა გამგებელი ზომა—ყოველკაცა 40000 მხედრისა და 5000 მონა-სპის მოწვევამ დაადა საკით- ხი თვით არსებობის უზრუნველყოფისა მშვიდობიანობის დროს. ეს საკითხი მე- ფემ ადვილათ გადასწყვიტა: განკარგუ- ლება გამოსცა, რომ დაესახლებათ მო- წვეულნი ოჯახობიურთ მიჩნეულ ად- გილს, რაც შეავსებდა არ ეტულ მოსა- ლეობის რიცხვს და მეტ სიმკრეფეო ს- რეპულობის გამოაღწეწებდა იქამდე ნ- კეპობათ დაწესებულ ადგილს, მათი უ- ლობის ძე, ხოლო მსუბუქათ. ქუთაისი რაი- ონიდან, მარცხენა ხელში დაქრილი.

135000-მდე*) აღიოდა. ამავე მიზანს— ქვეშევდრომთა რიცხვის გადღებას ემსა- ხურებოდა სხვა სახელმწიფო ზომებიც, როგორც იყო მაგ., სამკურნალოების დაარსება და მათი ჯეროვანი მოწყობა. აქ იყუა განსაკუთრებული განყოფილე- ბი მიჩნეულ სენიანთათვის, რომელნიც რიგრიგით იყენენ დაყოფილნი. თავისი ხშირ-ხშირათ დათვლილებით იგი თხო- ულობდა და ხელს უწყობდა მეფელაუ- რეთა მიერ მიღებულ წეს რიგის მკაც- რათ ასრულებას.—ამგვარათ ყოველის მხრივ თავს შემოვლილი ხალხი საჭირო- ივებდა დაბოროტს გონიერულ განკარ- რების ცენტრს, სწავლა განათლების კე- რას, რომლის უქონლობაც ქართველ მწიგნობართა და მოაზრეთ აძილებდა უცხოეთში, საბერძნეთსა, პალესტინასა და სხვ. გაღებულნი იყენ. თუმცა იქი- დან ისინი სამშობლო მხარეს დიდ ღვაწლს სდებდენ, მაგრამ აკლდით მშო- ბელ ერთან სულიერ-ხორციული მშობრო კავშირი. ბევრჯერ უცხოეთში მყოფი ასეთი მოღვაწენი სრულებით ეკარგებო- დენ თავის სამშობლოს, რომელიც უქე- თეს შემთხვევაში მოღვაწეთა პირად მა- ლალ ზნეობრივ გავლენას მაინც მოკლე- ბული იყენენ. ამ მოთავარ ნაკლს შესავ- სებათ მეფე დავითმა განიზრახა გელათის აშენება, რომელსაც იქით დღე დღისა მ- ნელებას უმზადებდენ, რომ ეს ლავრა უნდა გამხდარიყო სრულიად აღმოსავ- ლეთის მეორე იერუსალიმთა, ათინად, უმაღლეს სწავლა-განათლების კერათ. —საუკეთესო საბუთი, თუ საღამი აღწევდა მაშინდელ მოღვაწეთა ერთე- ნულ პოლიტიკური მხროვნება: გელათს, საქართველოს ერთერთ კუთხეს უმზა- დებდენ მეფე დავითს თანხმობაზეებით უდიდეს და მთელ ადამიანთათვისა თვის უფმნიშნოლადს მომავალს.

— ასეთი იყო ყოველმხრივი მოღვა- წეობა დიდა მეფესა, რომლის ღვათებ- რივამ სულმაც დროზე და მოხდენილათ შესძლო ერის ლტოლილებათა დაერო- ვნულ მოღვაწეთა იღვის შეთვისება და რომლის გენიალურმა ძალამაც სისრუ- ლეში მოიყვანა ერ ხელ შეგნებულათ დასახული მიზანი: თავის ქვეყანას, მშო- ბელი ერს წინ წარუძღვა მთელს წინა აზიანზე ბატონობის მოპოვებაში: 1124 წლისათვის განზრახული იყო ქართველ- ბის გალაშქრება და საზაღისსაც შეუდ- გენ. ამ დროს ყოველ მხრიდან, მეზო- ბელ სახელმწიფოთაგან მოვიდა მეფეს თავყვანის ცემა კეთილ განწყობლე- ის ახოვნები და სათანადო საჩუქრები! ამას იქით წასვლი შეუძლებელი იყო ქართ- ველები ბატონობდენ თავის სამფლობე- ლოს საზღვრებს გარეშეც. დაღუპულთ რომ ეს თაყვანის ცემა და პატივი და- იმხატვრა დიდმა მეფემ არა მარტო თა- ვისი სამხედრო სიდიდით, არამედ გო- ნიერული განვითარებითა და სულიერი სიღაჭიხითაც, რომელიც თანა სდევს გრეს გენიოსურ ბუნებას.

მოგონებთ რა ამ არაჩვეულებ- რივ ისტორიულს პარს, ჩვენ მუტომო- დრეკით თყვენსა ეცმთ მის ხსოვნას, როგორც გენიოსის ხსოვნას; ხოლო რო- გორც ქართველთ მეფეს; როგორც გა- მომხატველს ერთგულ სულისა და გრძობებისას ჩვენ უღრესის სიამაყით გადგებდეთ ჩვენს მტრებს და ამათ გავახსენებთ, რომ გვაქვს უყვადვი, და- უშრეტლო წყარო ჩვენ და ახალ ძალთა ჩამდგელი, წარსულისათვის მზის სხივთა ჩამრდილავი შარავანდელი, მომავლისა- თვის დაუპრულებელ იმედთა სერტი მნა- თობი. ბუმბერაზი გენიოსი, რომლის ბაღდასც მსოფლიო ისტორია ბერეს ეგრ გვეჩვენებს, საუკეთესო მეტყველი წარსულისა და უებარი მექომავე მომა- ვლისა Titus.

*) ბ. ი. ჯავახიშვილი ქართვ. ერის ისტო- რია“ გვ. 535. ანგარიშობს 225000 სულს. ე- ი, ოჯახზე 5 სულს; რაც ჩვენის აზრით, ნაშე- ტანი ბევრია, რადგან 1) აღდა-წულითა მათი- თა“ არ ნიშნავს, თმ უსათუთ ყველანი და- თჯებულნი იყენენ. წინააღმდეგ გადასახლებულ უფრო უოჯახო თუ თანმდებ, ყოველ შემთხვე- ვაში არას დროს დიდი ოჯახის პატრონი და ისიც სამხედრო სამსახურისათვის 2) გამოტ- დილნი სიზნითა“ ნათქვამია მხოლოდ მონა-სპის შესახებ (5000 კაცი) და არ შეგვიძლია 40000 მხედრებზეც გავიტანოთ სადაც უმეტესია უ- აჯახო ახალგაზდებიც იქნებოდენ. ამას გარდა მონა სპა იყო ყოველი ქრისტიანე ქმნელი“, რაც ამტკიცებს მათ წინააღმდეგ ურთიერთობას ქართველ ჯართან, ე. ი. ისინი პირველთ არ არ იყენენ საქართველოში მოწვეულნი.—ქრდეტ რომ მივიღოთ, რომ 45000 მოწვეულ ჯარის კეთილმეყველანი ცოლებიანი იყენენ და აღ- და წულითა მათი“ას ახსოვებული მნიშვნე- ლობა მივსცეთ (რაც უკვე გახედულთ თავის თავი) —სრულებით საქარისი იქნება თუ საშუ- ალო ოჯახის შემადგენელ რიცხვთ 3 ავიღებთ. ეს რიცხვი ყოველ შემთხვევაში ცოლა არ არის, მარტაც მ) მოწვეულნი მუდმივ ჯარში იმყო- ვებოდენ და სასახურის გამო ოჯახობას უმეტეს შემთხვევით მოცდენილნი იყენენ. ასე რომ მხედრობისათვის მხოლოდ მოწვეულნი უნდა იქნე- თენ. მისი 135000-ს არ უნდა პოტოვდ.

სავაჭრო სახლი სამანუფაქტურა და გალანტერეის საქონლის ფ. დ. მ რ მ შ ა ი შ ვ ი ლ ი ს და ა — ბ ი ს ომიანობის გამო ქალაქ სუსუმშიდან გადმოვიდა ქუთაისში (სრულად მარცხნივ) თფილისის ქუჩის და საკათედრო მოედანის კუთხეში, რიგითი მუშაობის ახალ შენობაში, ქალაქის ავთიაკის პირდაპირ.

გვაქვს მიღებული მრავალი ახალი მოდის სასაფორო საქონელი. საქონელი იყიდება ხელმისაწვდომ ფასებში. პატივიც კეთით: ფ. ერქომაიშვილი და ა—ბა. 12-1

გ ა მ ო ვ ი დ ა და ი ყ ი დ ე ბ ა ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი. ფ ა ს ი 60 კ ა ა.

ს. ს. ი. გოკიელის შ-ის შუთისში ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი აბრეშუმის ჭიის თესლის ხ. ჩინისტოვლიდის ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახლო მომავალში დაიწყება დაავთვა ჯემოადნოვულ ფირმის აკრძოების თესლზე. ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება. თ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამს. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი. 1) წ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარუ- ლი და მსახურება. . 20 კაბ. 2) დ. კარიკაშვილი. ხუტური ანბა- ნი, მეორე ვაწოც. . 20 კაბ. 3) მლ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კა. ყლით . 15 კაბ. 4) ქართ. მოძრაიე ანბ. ქალ. 10 კაბ. * იგვე, კარდონზე გაკრული 25 კაბ. * იგვე, ორ დასა—კომპლექ. 50 კაბ. 5) ს. ყიფიანი. შაქარის ნაამბ. 3 კაბ. 6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . 20 კაბ. 7) ს. გორგაძე. საქართვე. ისტორია ნ. I ისტორიული ქართი, მეორე გამოცემა . 35 კაბ. 8 ად. განსკანაშვილის თხზულება. „Поэты Грузин Акакиа“ 10 კ.

შ შ თ ა ი ს შ ი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსე ბ. გ. გიბინეიშვილისა. 1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსენება მეორე—პარალელური განყოფილ კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწოდებით, ანუ შესაფერო გამოცდ შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. ა შ რ ს ი ა თ თ ი ვ ი ა ნ ი ა ნ . — * * * ს წ ა ვ ა ლ ი ს ფ უ ლ ი ა ს ი მ ა ნ . თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა). კურსების გამგე ბ. გ. გიბინეიშვილი.

ფოთის ახალ მაღაზიაში „უნივერსალ“ ქარვასლის ქუჩაზე, პროვოდნიკის პირდაპირ მაღაზიაში ი მ ი დ ე ბ ა მაღაზიაში შანასანელ მოდების, გალანტერეის, ფლიპანისა და ხელსაწარმოებ საქონელი: სხვა და სხვა კრუეოვა, ტილოები, ვიტრაჟები, საყელოები, ავრამანტები, ფო- ლაქები, ვიშიკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფიკები, ხელოთამბები, კაც- პერანგები და საყელოები, კორსეთები, ხალათები, იუბკები, ქალების, ბავშვებისა მოწაფეების შლიაბები და ბევრი სხვა საქონელი. რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების შლიაბებზე და შეკერ- საქონელზე ფაბრიკის ფასი. და ა ქ ლ მ ე მ უ ლ ი ა 50% პატივისცემით ანიხინელი.

ვაუწყებთ პატივცემულ მამადედას, რომ მე გავყარე ნ. ს. ბარკის ფირ- მის და გავყენი სასტუმრო „ლონდონის პირდაპირ. საკუთარი მაღაზია; ჩემი დიდხნის გამოცდილება და ცოდნა შე- ძლებას მაძლევს სხვა ფირმებზე უფრო ია- ვად გაყვიდო და სინდისიერათაც შეყარული ყოველნაირი საქმეათ, რამაც ჰინდათ დანწმუნდება შეიდევი. მისამ. წიგნი. და დევნე. ქუთაისი. აბრამ ტრე